

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება  
„შპს ორისი“

ფინანსური ანგარიშგება

31 დეკემბერი 2022

## შინაარსი

## გვერდი

|                                                      |      |
|------------------------------------------------------|------|
| მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება | 3    |
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება                   | 4    |
| კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება                    | 5    |
| ფულადი ნაკადების ანგარიშგება                         | 6    |
| განმარტებითი შენიშვნები                              | 7-16 |

**მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის**

|                                          | შენიშვნა | 2022             | 2,021            |
|------------------------------------------|----------|------------------|------------------|
| შემოსავალი მომსახურების გაწევიდან        | 5        | 1,771,141        | 2,067,240        |
| გაწეული მომსახურების/მიწოდებული საქონლის | 5        | (47,262)         | (43,211)         |
| თვითღირებულება                           |          |                  |                  |
| <b>საერთო მოგება</b>                     |          | <b>1,723,879</b> | <b>2,024,029</b> |
| დასაქმებულთა ანაზღაურება                 |          | (725,949)        | (628,065)        |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი | 6        | (774,117)        | (425,513)        |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი            |          | 263,140          | 200,286          |
| სხვა არასაოპერაციო ხარჯები               |          | -                | (274)            |
| <b>მოგება დაბეგვრამდე</b>                |          | <b>486,974</b>   | <b>1,170,442</b> |
| მოგების გადასახადის ხარჯი                |          | (657)            | (2,171)          |
| <b>წმინდა მოგება</b>                     |          | <b>486,317</b>   | <b>1,168,271</b> |
| <b>სხვა სრული შემოსავალი</b>             |          |                  |                  |
| <b>სულ სრული შემოსავალი</b>              |          | <b>487,617</b>   | <b>1,168,971</b> |

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 26 სექტემბერს

\_\_\_\_\_  
 დირექტორი

შპს „ორისი“  
 ფინანსური ანგარიშგება  
 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
 ქართულ ლარში

**ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**

| აქტივები                                            | შენიშვნა | 31.12.2022       | 31.12.2021       |
|-----------------------------------------------------|----------|------------------|------------------|
| ფული და ფულის ეკვივალენტები                         | 11       | 6,326,442        | 6,245,931        |
| სავაჭრო მოთხოვნები                                  | 10       | 37,970           | 38,403           |
| გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი |          | 2,715            | 43,081           |
| მზა პროდუქცია                                       |          | 73,451           | 71,637           |
| სხვა მიმდინარე აქტივები                             |          | 54,987           | 55,978           |
| <b>სულ მიმდინარე აქტივები</b>                       |          | <b>6,495,565</b> | <b>6,455,030</b> |
| ძირითადი საშუალებები                                | 8        | 1,396,128        | 1,432,165        |
| სხვა არამატერიალური აქტივები                        |          | 47,097           | 45,057           |
| სხვა გრძელვადიანი აქტივები                          |          | 18,622           | 23,824           |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>                    |          | <b>1,461,847</b> | <b>1,501,046</b> |
| <b>სულ აქტივები</b>                                 |          | <b>7,957,412</b> | <b>7,956,077</b> |

**კაპიტალი და ვალდებულებები**

|                            |               |               |
|----------------------------|---------------|---------------|
| მოკლევადიანი ვალდებულებები |               |               |
| სავაჭრო ვალდებულებები      | 445           | 456           |
| მიღებული ავანსები          | 9,588         | 11,648        |
| <b>სულ ვალდებულებები</b>   | <b>10,033</b> | <b>12,104</b> |

**კაპიტალი**

|                                      |    |                  |                  |
|--------------------------------------|----|------------------|------------------|
| სააქციო კაპიტალი                     | 12 | 1,285            | 1,285            |
| გაუნაწილებელი მოგება                 |    | 7,944,794        | 7,941,988        |
| გადაფასების რეზერვი                  |    | 1300             | 700              |
| <b>სულ კაპიტალი</b>                  |    | <b>7,947,379</b> | <b>7,943,973</b> |
| <b>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</b> |    | <b>7,957,412</b> | <b>7,956,077</b> |

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2022 წლის 26 სექტემბერს

დირექტორი -----

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

|                          | სააქციო<br>კაპიტალი | გადაფასების<br>რეზერვი | გაუნაწილებელი<br>მოგება | საკუთარი<br>კაპიტალი |
|--------------------------|---------------------|------------------------|-------------------------|----------------------|
| <b>1 იანვარი 2021</b>    | <b>1,285</b>        | <b>-</b>               | <b>7,194,770</b>        | <b>7,196,055</b>     |
| წმინდა მოგება            |                     |                        | 1,168,271               | 1,168,271            |
| გაცემული დივიდენდი       |                     |                        | (421,053)               | (421,053)            |
| <b>31 დეკემბერი 2021</b> | <b>1,285</b>        | <b>700</b>             | <b>7,941,988</b>        | <b>7,943,973</b>     |
| წმინდა მოგება            |                     |                        | 486,317                 | 486,317              |
| გაცემული დივიდენდი       |                     |                        | (484,211)               | (484,211)            |
| <b>31 დეკემბერი 2022</b> | <b>1,285</b>        | <b>1300</b>            | <b>7,944,794</b>        | <b>7,947,379</b>     |

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2022 წლის 26 სექტემბერს

დირექტორი

**ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2022 წლის 31  
 დეკემბრით დასრულებული წლისათვის**

| <b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</b>                      | <b>2022</b>      | <b>2021</b>      |
|----------------------------------------------------------------------|------------------|------------------|
| წლის მოგება                                                          | 487,597          | 1,168,991        |
| <b>კორექტირებები:</b>                                                |                  |                  |
| ცვეთა და ამორტიზაცია                                                 | 42,726           | 42,291           |
| საკურსო სხვაობა                                                      | 645,540          | 305,109          |
| <b>საოპერაციო შედეგები კაპიტალში ცვლილებამდე</b>                     | <b>1,175,864</b> | <b>1,516,391</b> |
| ცვლილება მარაგებში                                                   | (1,814)          | 8,551            |
| ცვლილება დებიტორულ დავალიანებაში                                     | 47,108           | (59,307)         |
| ცვლილება კრედიტორულ დავალიანებაში                                    | (2,146)          | 1,239            |
| <b>საოპერაციო საქმიანობაში გენერირებული ფულადი სახსრები</b>          | <b>1,219,012</b> | <b>1,466,874</b> |
| გადახდილი პროცენტი                                                   | -                | -                |
| მიღებული პროცენტი                                                    | -                | -                |
| გადახდილი მოგების გადასახადი                                         | -                | -                |
| <b>საოპერაციო საქმიანობაში გენერირებული წმინდა ფულადი სახსრები</b>   | <b>1,219,012</b> | <b>1,466,874</b> |
| <b>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>                    |                  |                  |
| ძირითადი საშუალებების შეძენა/გასვლა                                  | (8,750)          | (6,818))         |
| არამატერიალური აქტივების შეძენა/გასვლა                               | -                | -                |
| <b>საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები</b> | <b>(8,750)</b>   | <b>(6,818)</b>   |
| <b>ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან</b>                       |                  |                  |
| გადახდილი დივიდენდი                                                  | (484,211)        | (421,053)        |
| <b>ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები</b>     | <b>(484,211)</b> | <b>(421,053)</b> |
| <b>ცვლილება ფულის და ფულის ექვივალენტებში</b>                        | <b>726,051</b>   | <b>1,039,004</b> |
| ფული და ფულის ექვივალენტები 1 იანვრის მდგომარეობით                   | 6,245,931        | 5,512,036        |
| უცხოური ვალუტის ცვლილება ფული და ფულის ექვივალენტებში                | (645,540)        | (305,109)        |
| <b>ფული 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>                                | <b>6,326,442</b> | <b>6,245,931</b> |

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2022 წლის 26  
 სექტემბერს

\_\_\_\_\_  
 დირექტორი

\_\_\_\_\_  
 დირექტორი

\_\_\_\_\_  
 მთავარი ბუღალტერი

## განმარტებითი შენიშვნები

### 1 ზოგადი ინფორმაცია

შპს „ორისი“ (შემდგომში - „კომპანია“) დაფუძნდა 1995 წელს, საიდენტიფიკაციო კოდი - 206033754, იურიდიული და ფაქტიური მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, ალ.ყაზბეგის გამზირი 12 ბ. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სხვადასხვა ტიპის კომპანიებისთვის საფინანსო და სამეურნეო საქმიანობის პროგრამული უზრუნველყოფის მიწოდება და კომპლექსური მომსახურება. კომპანიის დამფუძნებლები არიან: დავით და გიორგი გოთოშია, თითოეული 50%-50%-ის წილის ფლობით. კომპანიას 2021 წლის 31 დეკემბრის და 01 იანვრის მდგომარეობით, შესაბამისად, საშუალოდ ჰყავდა დასაქმებული 25 და 25 თანამშრომელი.

### 2 მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (ფასს მსს-ს) შესაბამისად, რომლებიც ძალაშია 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

31 დეკემბრის 2017 წლამდე კომპანია ამზადებდა ფინანსურ ანგარიშგებას ადგილობრივი აღრიცხვის პრინციპების მიხედვით, რომელიც ზოგადად მიღებულია საქართველოში და ეფუძნება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობას, თუმცა არ მოიცავს მნიშვნელოვან სააღრიცხვო პრინციპებსა და ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნებს. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიამ პირველად მოამზადა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით. შესაბამისად, კომპანიამ მოამზადა ფინანსური ანგარიშგება, რომელიც შეესაბამება მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს, რომელიც გამოიყენება 2018 წლის 1 იანვრიდან ან შემდგომ პერიოდებიდან და აღწერილია წინამდებარე ანგარიშგებაში. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, კომპანიის საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მომზადდა 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, რაც არის კომპანიის მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტზე გადასვლის თარიღი.

## ფინანსური ინსტრუმენტები

### მიღებული სესხები

მიღებული სესხები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (რაც მოიცავს გარიგების ხარჯებს) და შემდგომში იზომება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

### სასესხო ხარჯები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება იმ პერიოდის ფინანსურ დანახარჯებში, როდესაც გაწეული იქნა.

## **ფული და ფულის ეკვივალენტები**

ფული და ფულის ეკვივალენტები ის პუნქტებია, რომლებიც თავისუფლად კონვერტირდება ფულად თანხებად და რომელთა ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. თანხები, რომელთა გატანაც დეპონირებიდან სამ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში არ შეიძლება, არ მიეკუთვნება ფულს და ფულად ეკვივალენტებს. ფული და ფულადი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით.

## **სავაჭრო და სხვა მოთხოვნები**

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

## **სავაჭრო და სხვა ვალდებულებები**

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

## **შემოსავლის და ხარჯის აღიარება**

შემოსავლები და ხარჯები აღიარდება დარიცხვის მეთოდით

### **(ა) შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან**

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

### **(ბ) შემოსავალი მომსახურების გაწევიდან**

მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება შესრულებული ოპერაციის შესრულების სტადიის მიხედვით, თუ დაკმაყოფილებულია ყველა შემდეგი პირობა:

- შემოსავლის ოდენობის განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ;
- მოსალოდნელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის ან მომსახურების პოტენციალის შემოსვლა ერთეულში;
- შესაძლებელია მომსახურების გაწევის ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო თარიღისთვის;

- შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესრულებისთვის საჭირო დანახარჯების საიმედოდ შეფასება

### **(გ) შემოსავალი იჯარებიდან**

შემოსავლები იჯარიდან წარმოადგენს მოძრავი ქონების გაქირავებით მიღებულ შემოსავლებს.

### **(დ) საოპერაციო ხარჯები**

თანამშრომელთა ხარჯი - დარიცხული ხელფასის, ბონუსების და არაფულადი სარგებლის დარიცხვა ხდება იმ საანგარიშგებო წელს, როდესაც თანამშრომლების მიერ გაიწევა შესაბამისი მომსახურება.

### **იჯარები**

იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო იჯარად თუ იგი არ ითვალისწინებს აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას მეიჯარიდან მოიჯარესთვის. საიჯარო გადასახდელები აღიარდება პერიოდის ხარჯად წრფივი მეთოდით იჯარის ვადის განმავლობაში.

### **ფინანსური იჯარა**

იჯარა, რომელიც გულისხმობს საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული პრაქტიკულად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. მოიჯარის მიერ იჯარის ვადის განმავლობაში საიჯარო აქტივის გამოყენების უფლებისთვის მეიჯარისთვის განხორციელებული გადახდები, გარდა ცვლადი საიჯარო გადახდებისა.

### **ხარჯების აღიარება**

ხარჯების აღიარება ხდება მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებას ან ვალდებულების ზრდასთან, რომელიც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

### **ოპერაციები უცხოურ ვალუტაში**

კომპანიას სამუშაო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი („ლარი“). უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციები თავდაპირველად აღიარდება სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციის განხორციელების თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საანგარიშგებო თარიღში უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება

ხორციელდება ამ თარიღისათვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. გადაფასებით წარმოქმნილი საკურსო სხვაობები აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსები:

|                                       | აშშ<br>დოლარი | ევრო   |
|---------------------------------------|---------------|--------|
| გაცვლითი კურსი 2022 წლის 31 დეკემბერს | 2.7020        | 2.8844 |
| გაცვლითი კურსი 2021 წლის 31 დეკემბერს | 3.0976        | 3.5040 |

### მოგების გადასახადი

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 981-ე მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან.

საგადასახადო დაბეგვრის სისტემის სპეციფიურობიდან გამომდინარე საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

### საწესდებო კაპიტალი და გადასახდელი დივიდენდები

მფლობელთა კაპიტალი განისაზღვრება კომპანიას დამფუძნებლების გადაწყვეტილებით. გასაცემი დივიდენდების ვალდებულება აღიარდება იმ საანგარიშგებო წელს, როდესაც ხდება მათი გამოცხადება.

### ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია ღირებულებასა და დაგროვილ ცვეთას, ასევე, არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების რეზერვს შორის სხვაობით.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივებზე, მოხმარებული ნაწილის ღირებულების შემცირებით, შემცირებადი ნაშთის მეთოდის გამოყენებით. შენობებზე გამოიყენება წლიური 5%-იანი ცვეთის განაკვეთი, სატრანსპორტო საშუალებებსა და მანქანა-დანადგარებზე - წლიური 8%-დან 20%-მდე, ხოლო საოფისე აღჭურვილობაზე - წლიური 14%-დან 50%-მდე განაკვეთი.

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს კომპანია გადახედავს აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება იმისათვის, რომ განისაზღვროს გაუფასურების ზარალის მასშტაბი.

## მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხორციელდება თვითღირებულებასა და მის ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების ხარჯის დასადგენად გამოიყენება საშუალო შეწონილი ფასის მეთოდი. სასაქონლო მატერიალური მარაგების თვითღირებულება მოიცავს დანახარჯებს რომლებიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან და მის არსებულ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. დასრულებულ და მიმდინარე პროექტების ღირებულება მოიცავს სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულებას, პირდაპირ სახელფასო და სხვა ხარჯებს გარდა მიღებული სესხებისა.

## 3. მნიშვნელოვანი შეფასებები

ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის ხელმძღვანელობას არ დასჭირვებია გაეკეთებინა მნიშვნელოვანი შეფასებები და დაშვებები, გარდა სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვაში აღნიშნულისა (მაგალითად, შემოსავლის აღიარება, ცვეთის და ამორტიზაციის ნორმების განსაზღვრა, უიმედო ვალეების ანარიცხის განსაზღვრა), რომლებსაც ექნებოდათ არსებითი ზეგავლენა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე, ასევე შემოსავლებსა, ხარჯებზე და განმარტებით შენიშვნებში მოცემულ სხვა ინფორმაციაზე.

## 4. წინა პერიოდის კორექტირებები

კომპანიის ხელმძღვანელობამ 2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაში გაასწორა წინა პერიოდის შეცდომები. ხელმძღვანელობის მოსაზრებით ახალი წარდგენა უფრო სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას. კონკრეტულად, ცვლილებები განხორციელდა შემდეგ საკითხებზე: 2021 წლის შედეგებში არ იყო გათვალისწინებული უცხოურ ვალუტაში განთავსებული ანაბრის ანგარიშების სავალუტო გადაფასებები.

ვალუტის კურსის მნიშვნელოვანმა ვარდნამ გამოიწვია საფუძვლიანი საკურსო სხვაობის ხარჯები, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა წლის მოგების და ფულის და ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების მნიშვნელობა. მოხდა გაცემული ავანსის თანხების განაშთავა და გასწორება.

უცხოურ ვალუტაში არსებული ანაბრების და მიმდინარე ანგარიშების თანხა და მათი ექვივალენტები გადაფასებამდე, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა:

შპს „ორისი“

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

1,543,637 USD-ს დაგროვილი ლარის ექვივალენტი 5,059,751, გადაფასების შემდეგ (გადაფასების თარიღის, 31.12.2021 კურსის- 3,0976 გათვალისწინებით) გაუტოლდა 4,781,571 ლარს.

33,725 EUR-ს დაგროვილი ლარის ექვივალენტი 144,623 ლარი (გადაფასების თარიღის, 31.12.2021 კურსის- 3,5040 გათვალისწინებით) გაუტოლდა 118,172 ლარს

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კორექტირების გავლენა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება    | 31.12.2021 | კორექტირება | 31.12.2021 გადანაგარიშებული |
|---------------------------------------|------------|-------------|-----------------------------|
| ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები | 6,623,155  | -377, 224   | 6,245 931                   |
| გაცემული ავანსები                     | 34,033     | 9,048       | 43,081                      |
| სხვა მოკლევადიანი აქტივები            | 54,988     | 1011        | 55,979                      |
| გაუნაწილებელი მოგება                  | 8,309,173  | -367,185    | 7,941,988                   |

| საქმიანობის შედეგების ანგარიშგება              | 31.12.2021 | კორექტირება | 31.12.2021 გადანაგარიშებული |
|------------------------------------------------|------------|-------------|-----------------------------|
| სხვა საოპერაციო შემოსავალი                     | 61,263     | -61,263     | 0                           |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი       | -77,321    | -305,922    | -383,243                    |
| საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი         | 1,535,456  | -367,185    | 1,168,271                   |
| გაუნაწილებელი მოგება                           | 8,309,173  | -367,185    | 7,941,988                   |
| საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს | 8,311,158  | -367,185    | 7,943,973                   |

| ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება | 31.12.2021 | კორექტირება | 31.12.2021 გადანაგარიშებული |
|----------------------------------------|------------|-------------|-----------------------------|
| ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები  | 6,623,155  | -377, 224   | 6,245 931                   |
| გაცემული ავანსები                      | 34,033     | 9,048       | 43,081                      |
| სხვა მოკლევადიანი აქტივები             | 54,988     | 991         | 55,979                      |
| გაუნაწილებელი მოგება                   | 8,309,173  | -367,185    | 7,941,988                   |

## 5. შემოსავალი რეალიზაციიდან

|                                                         | 2022             | 2021             |
|---------------------------------------------------------|------------------|------------------|
| შემოსავალი რეალიზაციიდან                                | 1,771,141        | 2,067,240        |
| გაწეული მომსახურების/მიწოდებული საქონლის თვითღირებულება | (47,262)         | (43,211)         |
| <b>სულ</b>                                              | <b>1,723,879</b> | <b>2,024,029</b> |

## 6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

|                                        | 2022           | 2021           |
|----------------------------------------|----------------|----------------|
| ცვეთის ხარჯი                           | 42,726         | 42,291         |
| საერთო-სამეურნეო ხარჯები               | 25,151         | 30,926         |
| კომუნალური ხარჯები                     | 11,702         | 10,673         |
| მარაგების ხარჯი                        | -              | -              |
| სოციალური დანარიცხები                  | 10,640         | 9,283          |
| გადასახადები მოგების გადასახადის გარდა | 10,393         | 10,736         |
| საკონსულტაციო ხარჯები                  | -              | -              |
| სხვა საერთო ხარჯი                      | 10,599         | 11,943         |
| <b>სულ</b>                             | <b>111,212</b> | <b>115,851</b> |

## 7. მოგების გადასახადის ხარჯი

მოგების გადასახადის ხარჯმა 2022 წლის განმავლობაში შეადგინა 657 ლარი (2021: 2 171ლარი), ხოლო მთლიანად განაწილებული დივიდენდების თანხამ: 484,211 ლარი (2021: 421,053ლარი).

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა საქართველოს საგადასახადო კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც ძირითადად ეხება მოგების გადასახადით დაბეგვრას. სხვა დაბეგვრის რეჟიმებთან ერთად, ცვლილებებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი არის ის, რომ დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან.

## 8. ძირითადი საშუალებები

| ისტორიული<br>ღირებულება                | შენობა           | ელექტრო<br>გადაცემის კავშირ<br>მოწყობილობა | საოფისე<br>აღჭურვილობა | ავეჯი და<br>სხვა<br>ინვენტარი | სატრანსპორტო<br>საშუალებები | სულ              |
|----------------------------------------|------------------|--------------------------------------------|------------------------|-------------------------------|-----------------------------|------------------|
| <b>01.01.2021</b>                      | <b>1,164,744</b> | <b>9,601</b>                               | <b>159,393</b>         | <b>189,212</b>                | <b>256,964</b>              | <b>1,779,915</b> |
| შემოსვლა                               | -                | -                                          | 13,453                 | -                             | -                           | 13,453           |
| გასვლა                                 |                  |                                            | (6,506)                | (220)                         | -                           | (6,726)          |
| <b>31.12.2021</b>                      | <b>1,164,744</b> | <b>9,601</b>                               | <b>166,340</b>         | <b>188,992</b>                | <b>256,964</b>              | <b>1,786,642</b> |
| შემოსვლა                               | -                | 214                                        | 12,466                 | -                             | -                           | 13,453           |
| გასვლა                                 |                  | (31)                                       | (5,062)                | (220)                         | (6,818)                     | (6,726)          |
| <b>31.12.2022</b>                      | <b>1,164,744</b> | <b>9,785</b>                               | <b>173,744</b>         | <b>188,992</b>                | <b>250,147</b>              | <b>1,787,412</b> |
| <b>აკუმულირებული<br/>ცვეთა</b>         |                  |                                            |                        |                               |                             |                  |
| <b>01.01.2021</b>                      | <b>(117,751)</b> | <b>(2,860)</b>                             | <b>(80,572)</b>        | <b>(76,035)</b>               | <b>(37,275)</b>             | <b>(314,494)</b> |
| გასვლის შედეგად<br>ელიმინირებული ცვეთა | -                | -                                          | 1,030.06               | 104.42                        | -                           | 1,134.48         |
| ცვეთის ხარჯი                           | (11,876)         | (662)                                      | (11,949)               | (8,098)                       | (8,533)                     | (41,118)         |
| <b>31.12.2021</b>                      | <b>(129,627)</b> | <b>(3,522)</b>                             | <b>(91,491)</b>        | <b>(84,029)</b>               | <b>(45,808)</b>             | <b>(354,476)</b> |
| გასვლის შედეგად<br>ელიმინირებული ცვეთა | -                | 31                                         | 82                     | -                             | 3308                        | 3,420            |
| ცვეთის ხარჯი                           | (11,876)         | (674)                                      | (11,108)               | (8,085)                       | (8,484)                     | (40,227)         |
| <b>31.12.2022</b>                      | <b>(141,503)</b> | <b>(4,165)</b>                             | <b>(102,517)</b>       | <b>(92,113)</b>               | <b>(50,985)</b>             | <b>(391,283)</b> |
| <b>წმინდა საბალანსო<br/>ღირებულება</b> |                  |                                            |                        |                               |                             |                  |
| <b>31.12.2020</b>                      | <b>1,058,869</b> | <b>3,835</b>                               | <b>88,590</b>          | <b>121,280</b>                | <b>75,921</b>               | <b>1,348,494</b> |
| <b>31.12.2021</b>                      | <b>1,035,117</b> | <b>6,076</b>                               | <b>74,831</b>          | <b>104,963</b>                | <b>211,156</b>              | <b>1,432,144</b> |
| <b>31.12.2022</b>                      | <b>1,023,241</b> | <b>5,620</b>                               | <b>71,227</b>          | <b>96,879</b>                 | <b>199,162</b>              | <b>1,396,128</b> |

## 9. მარაგები

|                         | 2022          | 2021          |
|-------------------------|---------------|---------------|
| საქონელი                | 1,599         | 1,490         |
| პროგრამული უზრუნველყოფა | 70,102        | 68,885        |
| დაუმთავრებელი წარმოება  | 1,751         | 1,256         |
| <b>სულ</b>              | <b>73,451</b> | <b>71,637</b> |

მარაგები ძირითადად მოიცავს პროგრამას და მის გასაღებებს, რომლებიც რეალიზაციისთვისაა განკუთვნილი.

## 10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

|                                          | 2022          | 2021           |
|------------------------------------------|---------------|----------------|
| მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან | 37,970        | 38,403         |
| მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ    | 18,622        | 23,824         |
| მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები         | 2,715         | 43,081         |
| <b>სულ</b>                               | <b>59,307</b> | <b>105,308</b> |

## 11. ფული და ფულის ექვივალენტები

|                                 | 2022             | 2021             |
|---------------------------------|------------------|------------------|
| ნაღდი ფული სალაროში             | 12,313           | 12,478           |
| ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში | 1,936,697        | 1,333,711        |
| უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში  | 4,377,431        | 4,899,742        |
| <b>სულ</b>                      | <b>6,326,442</b> | <b>6,245,931</b> |

კომპანიას ნაწილი ფულადი სახსრები განთავსებული აქვს ბანკში, მოთხოვნამდე დეპოზიტს ერიცხება წლიური 2%-7% წლის შემოსავალმა შეადგინა 262,249 ლარი.

## 12. სააქციო კაპიტალი

კომპანიის სააქციო კაპიტალი შეადგენს 1,285 ლარს. 2022 წელს გაიცა დივიდენდი 484,211 ლარის ოდენობით, 2021 წელს 421,053 ლარი.

### **13. დაკავშირებული მხარეები**

კომპანიის დამფუძნებლები არიან: დავით და გიორგი გოთოშია, თითოეული 50%-50%-ის წილის ფლობით.

კომპანიას სხვა არსებითი ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან არ განუხორციელებია.

### **14. პირობითი ვალდებულებები**

მიმდინარე წელს კომპანიას არ ჰქონია პირობითი ვალდებულებები.

## **15 ფასს მსს-ის პირველადი გამოყენება**

კომპანიამ ფინანსური ანგარიშგება პირველად მოამზადა და წარადგინა 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რომელიც მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის („ფასს მსს“) შესაბამისად. კომპანიის ფასს მსს-ზე გადასვლის თარიღია 2018 წლის პირველი იანვარი და ფინანსური ანგარიშგება ფასს მსს-ს შესაბამისად მომზადდა აღნიშნული თარიღისთვის.

2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ფასს მსს-ზე გადასვლის შედეგად კომპანიის ფინანსურ აგარიშგებაში მატერიალური კორექტირებები არ განხორციელებულა.

### **16. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ განვითარებული მოვლენები**

2023 წელს მოხდა დივიდენდების გაცემა 189, 474 ლარის ოდენობით.